# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

მოსამზადებელი კლასები
**ლ. თ. ნასიძისა**
კუკია, ანდრიას ქუჩა, № 21.
(5—4)

**იოსებ დავითაშვილის**
თხზულებანი, ავტორის ბიოგრაფიით და სურათით
დაიბეჭდა და ისყიდება
მხოლოდ
**ქართველთა ამხანაგობის**
წიგნის მაღაზიაში
(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ს. ზუბალოვისა)
ფასი 80 კაპ.
აქვე ისყიდება ამხანაგობის გამოცემავე
**დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა**
პოემა
ბაჩანასი
ფასი 15 კაპ.
და სხვა ქართული წიგნები.
(4—1)

„ქართველთა ამხანაგობის წიგნების გამოცემის“ გამგეობისაგან.

ამხანაგობამ საჭიროდ სცნა, იყოლიოს აგენტები საქართველოს სხვადა-სხვა კუთხეებში. აგენტებად ამხანაგობის წევრნივე არიან და ამ ჟამად მხოლოდ 7 ადგილას; ფოთში დავ. ბესარიონ—კიკნაძე, ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია). დ. ზესტაფონში—ვარლ. ჰიჰინაძე, ხაშურში—იოსებ ფანცულაია, განჯაში—დიმ. ქელიძე, შუშაში—იაკ. ზედგინიძე და ყარსში—მიხ. პექანოვი. ამ ადგილებში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიჰმართონ დასახელებულ აგენტებს—წევრებს, როგორც წიგნების სასყიდლად აგრეთვე ამხანაგობის შესახების საქმისათვის. (3—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრი.
ოთხშაბათს, 12 სექტემბერს დანიშნულია
პირველი წარმოდგენა
მ. ლ. კროპივნიცკისა.
წარმოდგენილი იქნება
**ნატალკა-პოლტავკა**
3 მოქმედებიანი ოპერეტი კოტლიარევსკისა.
მეორე წარმოდგენა
კვირას, 16 სექტემბერს
**ტყვე**
დრამატიული სურათი, 4 მოქმედებად
დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზე.

სასწავლებელი
ს. ბ. ჟორჟიკიასი
(ქუთაისში)
უეგზამენოდ ყმაწვილებს მიიღებს 15-ს სექტემბრამდე. (10—8)


## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თვის 10, ყუბიდგან დაბრუნდა ტფილისში ჯალათი, რომელმაც გამოჩენილი ავაზაკი მაშადი მეჯიდი-ჰაჯი-ალახპერ-ოღლი ჩამოარჩო ამ თვის 7-ს სახალხოდ ყუბაში. ავაზაკს სიკვდილს წინად მოლასთვის უთქვამს, რომ ჩემს სიცოცხლეში, როგორც მახსოვს, ას-რვა კაცი მომიკლავსო, და დაჭრილებსაც თუ ვიანგარიშებ, ისეთს დაჭრილებს, რომლებიც შემდეგ მომკვდარანო, ორასამდე იქმნება სულაო. მაშად-მეჯიდი-ჰაჯი ალახპერ-ოღლი თურმე ჯალათსაც და ჯარსაც უძალიანდებოდა დარჩობის დროს და საშინლად იგინებოდა რუსულად და თათრულად. ამ ავაზაკთან ერთად სამხედრო სასამართლომ დარჩობა გადაუწყვიტა ამის ძმას ალი-ოვსად-ჰაჯი-ალახ-პერ-ოღლის და ვილაცა ბაიჯიამ ხალილა მამედ ოღლისაც, რომელთაც მრავალი ავაზაკობა ჰბრალდებოდათ: ფოსტის გაცარცვა, კაცის კვლა და სხვ. და სხვ., მაგრამ ეს ორი ავაზაკი კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა შერემეტიევმა შეიწყნარა, სიკვდილი აპატია და საუკუნოდ კატორგა გადაუწყვიტა.

*** ტფილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე გონჩაროვი ამ თვის 10-ს დაბრუნდება რუსეთიდამ.

*** რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ 16 სექტემბრიდამ ახალის გზით ივლის მატარებელი ხაშურსა და ბექათუბანს შორისაო. ფონისა და წიფას ძველის სადგური გაუქმდება, ხოლო სურამს ცალკე მატარებელი ივლის ხაშურიდამ. სურამში წამსვლელს მხოლოდ ნახევარ საათი მოუნდება ცდა ხაშურში ფოსტის მატარებლის მისვლის შემდეგ.

*** პოლიციამ შემდეგი საზიზღარი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა ავლაბარში: იქ სცხოვრობს თურმე ერთი ქვრივი ქალი ასანჯალალოვისა, რომელსაც ორი ქალი მისცემია ალავერდი ჰასან-ოღლისაგან, ერთი 1888 წელს და მეორე ამ ოთხის თვის წინადა, ორივე ყმაწვილი ამ ალავერდის წაუყვანია, ვითომ-და დედაჩემს მინდა მივაბარო აღსაზრდელადაო, ის კი არა თუ ორივე დაუხოცნია. უმცროსის ყმაწვილის გვამი პოლიციამ მაისში იპოვნა ნავთლუღის გზაზე და გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ეს გვამი ძალად-მოკლულის ყმაწვილისა, რომელიც წითელ მაუდსა და ჩვრებში იყო შეხვეული, სწორედ იმ ყმაწვილისა უნდა ყოფილიყო, რომელიც მიეცა ასანჯალალოვის ქვრივს ამ ოთხის თვის წინად. ალავერდი ჰასან-ოღლი შეიპყრეს და ამ ჟამად მეტეხის ციხეშია დაპატიმრებული. ამავე ალავერდის ჰბრალდება მელიქოვის ქვრივის გაძარცვაც ავჭალაში.

*** სოფ. საგარეჯო: ს. მანავში 24 აგვისტოს მოხდა დიდი უბედურება: ღამის 11 საათზე წაუკიდეს ცეცხლი აზ. წერეთლის სახლს უწინდელს დარბაზს და აგრეთვე გვერდზედ მობმულს ორ ოთახს. სახლები მთლად გადაიწვა. დაიწვა აგრეთვე, რაც რამ შიგ იყო. მძინარეებმა ძლივს გამოასწრეს სახლიდგან ცეცხლს. სულ უკანასკნელი ზარალი 2,000 მანათამდე იქმნება.

*** პირველ ოქტომბრიდამ დაარსდება ჩვენს მხარეში ყველა საფოსტო-სატელეგრაფო კანტორასთან ესრედწოდებული შემნახველი კასები, რომლის დანიშნულება ის იქნება, რომ მიიღებს ფულს შესანახავად ყველა ფულის დაზოგვის მსურველთაგან და მით გაუადვილებს მონარჩუნებულის ფულის შენახვასა და დაზოგვას. ეს კასები იმ კასების მოქმედების გასავრცელებლად დაარსდება, რომელიც სახელმწიფო ბანკის ყოველ განყოფილებაშია დაწესებულები, აგერ რამდენი ხანია. ხოლო რადგან ეს განყოფილება მარტო დიდს ქალაქებში არსებობს და ყველას-კი არ შეუძლიან იქ იაროს და თავისი დასაზოგველად გადადებული ფული აძლიოს და ან უგზავნოს ქალაქში დაწესებულს კასას, ამიტომ მთავრობამ განიზრახას ასეთი კასები თითოეულს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაშიაც დაარსოს.

*** გორი: წელს გორის სასულიერო სასწავლებელს იმდენი სწავლის მსურველი მოაწყდა, თუ სამღვდელოსი და თუ საერო წოდებისა, რომ სკოლის მთავრობა იძულებული იყო ნახევარი უკანვე დაებრუნებინა უადგილობის გამო; ჯერ ისევ მარშანვე შესდგა სამღვდელოთა კრება და გადასწყვიტა, რომ უმცროსი მოსამზადებელი კლასი თავის ხარჯით

## ფელეტონი

### ეთერი*)

(პოემა)

IV

შორით ისმოდა ძახილი,
საყვირებს აყვირებდიან.
უმეფისძეოდ შინ წასვლას
ყმანი ვერ აპირებდიან.
აქით ხმა მისცა გოდერძიმ,
დიან მხლებლები მისია,
აავსეს წყლისა ნაპირი
და გარშემო ტყისია.
ხელში ეჭირა ყველასა
მშვილდი, ისარი ხისია.
ყველაზედ მეტად უხდებათ
ჩაბალახები მგლისია.
სპასალარს ვეფხის ტყავისა,
ვეზირთ ჰიუხის თხისია.
ეთერს რა ჰხედვენ, ფიქრობენ:
ნეტავ ეს გოგო ვისია?
ეს ქვეყნიური არ არის,
სწორედ ასული ცისია!
მეფისძემ ყმათა უბრძანა:
„დრო აღარ არის ცდისია.
მოემზადენით, წავიდეთ
აი ეს დაელაც ჩვენია;
ეს ჩემი ცოლი იქნება
და დედოფალი თქვენია!
გოდერძიმ ალტაცებითა
ქალს გადაჰხვია ხელია:
„მადლი ღმერთს თუ-კი ამიხდა
ეს სანატრელი ჩემია!“
ეთერი სტირის იდუმალ
ცრემლი ჩამოსდის ცხელია.
გოდერძიმ ყმებსა უბძანა,
მოერთმეინათ ცხენია.
მეფისძე ცხენსა მოახტა,
ქალიც შეისო გავასა.
ეთერი წინანდებულად
აღარ უწევდა დავასა.
ყმათა დალოცეს ორივე
ბედითა ბედნიერითა,
უკრავდნენ თავსა ეთერსა
მუხლ-მოყრით წესიერითა.
ღმერთს-სთხოვენ ცოლ-ქმრი დღეგრძლობას
ვედრებით ნებიერითა.
მხოლოდა ერთი ვეზირი,
სახელად ერქვა შერია,
გოდერძის შემოჰხედნებდა,
როგორც მოსისხლე მტერია,
ვეზირი უცქერს ეთერსა,
ფერი ფერადად სდიოდა,
ვერ ისვენებდა ერთს ადგილს,
აქათ-იქითა დიოდა.
დამნახველს ეთერისასა
ეხლავე გული სტკიოდა.
ველარ ჰბედავდა შეხედვას,
თუმც შეხედნება ჰშიოდა;
ქალის სიტურფემ დაება,
მუხლის ძარღვები სცვიოდა.
გარეთ არ იმჩნევს, გულში-კი
მეფის ღალატი ჰყიოდა.
გულში ჩაუჯდა შერესა
ეშმაკი ღალატიანი;
შეჰხვდა უწამლო ჭირადა
ქალი მკლავ-კალათიანი.
შური და სიყვარული ჰკლავს,
ცეცხლი სწვავს ალ-ათიანი.
ცხენებს და ჯორებს აჰკიდეს
ნანადირევი მრავალი:
ხოხობი, გნოლი, ირემი,
ფსიტი კლდეებში მავალი.
ერთს ღამეს გამოიარეს
სამისა დღისა სავალი.
მღერის მეფის ძე გოდერძი,
მღერიან იმის ყმანია,
გალმა-გამოღმით პირქუშნი
ბანსაც მოსცემენ მთანია,
მხოლოდ არ მღერის ეთერი,
ცრემლი ჩამოსდის მთოვარი:
საქონელს გლოვობს თავისას
უფლისთვის შემათხოვარი;
ბატკნები, ხბორები დაჰრჩნენ
ჯერ ისევ ძუძუ-მწოვარი,
ეთერის დანი და ძმანი
სათირებ—სალალებიო,
სთხოვს არ გახადოს უფალმა
ყოვ-ყორნის წასალებიო.
ცაზედა ბჟუტვენ ვარსკვლავნი,
ქვეყანა არის ჭირათა.
ღამესა სძინავს ისევა,
ჯერ არ გამძღარა ძილითა.
ცას არ გაუხსნავ გულ-მკერდი
შეკრული ცეცხლის ღილითა,
ჯერ არ შეცვლილა წყვდიადი
პირ-მოღიმარის დილითა.

V

თენდება. მზისა სხივები
მთის წვერებს ეფინებიან,
მთით ჭალას ჩამოსასვლელად
ფრინველნი ელირებიან.
ლეშის საჭმელად ტილები
ერთმანეთს ეპირებიან.
მალევ გაეგო ყორანსა,
დაჰსისინებდა ჭალასა,
დაჰლაღოდია წყეული
მოხუცის ხათაბალასა.
ეთერის ცხვარს და ძროხასა
დაჰსხმოდა ჯოგი მგლებისა,
ჭალა აევსოთ ლეშითა,
ყორე დაედგათ ძვლებისა.
ფრინველთაც დენა დაიწყეს
მოგელავება მხრებისა:
ორბი სივსივით მოვიდა,
სოვი დაუხვდა ქშენითა,
ლეშზე მჯდომარე ყაჯირი
ორივეს უცქერს წყენითა,
გავაზი ქორწილს ამშვენებს
ფიცხელის გადაფრენითა,
სისხლში ამოსვრილს კლანჭებსა
ვეფხვი ილოკავს ენითა,
დაუძახებლად მოსულებს
დათვებს იგერებს ღრენითა.
ეთერის დედინაცვალი
უცქერის ცრემლის დენითა.
გატიალებულს საქონელს
უვარგის წყემსის ქცევითა.
ღმეჭილს პირს უფრო ილმეჭდა
ეთერს ახსენებს წყევითა.
თავ-გადაგლეჯით დარბოდა,
მალი-მალ შედგის გორზედა
და გადაჰკიელის მაღლიდამ
დაბლა ჭალაზე სწორზედა
ეთერის ნავალს ეძებდა
მწყობრად ამოსულს მოლზედა.
და მთის კუდებში ასული
აცქერდებოდა ზოვზედა,
იქნებ იქ მაინც გაეგო
ეთერის კვალი თოვლზედა.

ვაჟა ფშაველა.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 192.

გამართოს და დაიქირაოს მასწავლებელი. თუმცა სამღვდელოება ასე მოიქცა, მაგრამ მაინც ადგილი არ იყო წელს და ბევრს უარი ეთქვა შვილის მიღებაზედ. გლეხკაცობაც ბლომად მოადგა სკოლის კარს და იხვეწებოდა, ოღონდ-კი ჩვენს შვილებს ასწავლონ, და არაფერს ღონისძიებას არ დაიშურებთო, რაც უნდა გამოგვართვან სწავლის ფასიო. ამ ჟამად სასწავლებელში 280 ყმაწვილია. სწავლა პირველ სექტემბერს დაიწყო.

გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს სწერენ ბაქოდამ, რომ ბ-ნ ფინანსთა მინისტრი დიდად გაკვირდა, როცა შეჰნიშნა, რომ ბაქოში გოგირდის სიმჟავის მწარმოებელნი ყურადღებას თურმე არ აქცევენ დაღესტნისა და იმიერ-კასპიის გოგირდს და გამოაცხადა, რომ იძულებული ვიქნები ამის გამო ბაჟი მოვუმატო იმ გოგირდზე, რომელიც სიცილიიდამ მოაქვთ ჩვენშიო. ბაქოდამ რომ დაბრუნდება, მინისტრს განზრახვა აქვს დაათვალიეროს თ. ივ. მუხრან-ბატონის ვენახები, მარნები და საზოგადოდ ყველა ის მოწყობილობანი, რომლის შემწეობითაც იმოდენა ღვინოს აყენებს თავის მარნებში ზემოხსენებული მემამულე.

*** იმავე გაზეთს სწერენ ბათუმიდამ, რომ ვითომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე, გენერალ-მაიორი თ. ნ. ერისთავი და უფროსი არტილერის ოლქისა თ. მ. ერისთავი თავს ანებებენ სამსახურსაო.

*** „ნოვ. ობოზ“-ისვე სწერენ სიღნაღიდამ, რომ კარდენახში უსაბედად გაუვარდა თოფი იოსებ სოჩეჩილაშვილს და ერთი თავისი ძმისწული მოჰკლა, ხოლო მეორე დასჭრა ხელშიო. საქმე ასე იყო: იოსებმა აიღო თოფი საღამო ხანზედ და წავიდა ვენახში, რომ გაეგო, რად დაიგვიანეს იქ ჩემმა ძმისწულებმაო. როცა შევიდა ვენახში, უკვე დაბნელდა. ამ დროს გაუვარდა თოფი, ტყვია მოხვედროდა ერთს ხელში; გაეტანა ხელი, მეორეს გულში სცემოდა და იქვე მოეკლა. უცაბედი მკვლელი საშინელს ყოფაშია და ეშინიათ, რომ ჭკუიდამ არ შეიშალოსო, ისე სწუხს თურმე თავის ძმისწულის სიკვდილსაო.

*** გაზ. „ტფ. ფურც.“ ამბობს, რომ ამ დღეებში გარდაცვლილმა ვაჭარმა სომეხმა ი. იარალოვმა შესწირა ორასი თუმანი ტფილისის ღარიბთა სასარგებლოდაო და ასი თუმანი კიდევ სომეხთა მოღნინის ეკკლესიასაო.

*** ამ თვის 10, ღამით, პოლიციის მეოთხე ნაწილში, სოლოლაკის ქუჩაზე ხარაზს აბელ ტერ-არუთინოვს მოჰპარეს 42 მან. ნივთეულობა და ფულად 11 მან. და 40 კაპ. ეჭვი მიხეილ ბუთუნოვზე აიღო. ბუთუნოვი დამალულია და დაეძებენ.

*** ამავე დღეს, მკურნალის ლისიცევის სახლში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი ცეცხლის მქრობ რაზმის ორმა კაცმა და შინაურებმა ჩააქრეს. სახლი ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაშია დაზღვეული 20,000 მან.

*** იმავ დღესვე, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, კახეთის ქუჩაზე, ქუთაისის გუბერნიის სოფ. ვარახეთის მცხოვრებელს ალექსი ტაბუკაძეს პურის საცხობი გაუტეხეს ქუთაისისავე გუბერნიის მცხოვრებლებმა ნინია გიორგობიანმა, ალექსანდრე თავშამემ, პეტრე კერვალიძემ და მელქო ლომანიძემ. ამათში კერვალიძე, თავშაძე და ლომანიძე შეიპყრეს და პასუხის გებაში მისცეს.

*** ამ თვის 10, საღამოს ცხრა საათზე, პოლიციის პირველს ნაწილში ტფილისის მცხოვრებელმა მიხეილ გელაძემ მთვრალს სამსახურს გარეშე მყოფს ჯარის კაცს ნიკიტა ფედოროვს მოჰპარა 20 მან. ღირებული ვერცხლის საათი და დაიმალა. მაგრამ მალე იპოვნეს, შეიპყრეს ნაპარევითურთ და სამართალში მისცეს.

## ქალაქის საბჭო

მიეწურათ საბჭოს ხმოსნებს ვადა საპატიო სამსახურისა, სულ სამ-თვენახევარი-ღა შეუძლიანთ განაგონ ქალაქის საქმეები, და იმის მაგიერ, რომ ამ უკანასკნელს დროს მაინც გამოიჩინონ ხალისი საზოგადო სამსახურისა, ისე ირჯებიან, რომ წარსულს ორშაბათს არცკი შესდგა კრება, რადგან კანონიერი რიცხვი ხმოსანთა არ მოვიდა, და კრება საბჭოსი მოხერხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე ჯერობაზე კრება კანონიერია, რამდენი ხმოსანიც უნდა დაესწროს. სულ ათიოდე ხმოსანი იჯდა თავ-თავის ადგილზე, როდესაც მდივანი კითხულობდა პროტოკოლებს, და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, თანდათან შემოდიოდნენ ხმოსნები დარბაზში, თუმცა საკმაოდ საყურადღებო საქმეები იყო დანიშნული განსახილველად.

კრებამ სხვათა შორის მოისმინა იჯარადრის დოჩარის თხოვნა მასზედ, რომ ნავთის აქციზის გამო იმას ზარალი მოუვიდა ქალაქის განათების საქმეში და ამიტომ ქალაქის საბჭომ უნდა აუყენოს მას ზარალი. რამდენიმე თვის წინადაც იყო საბჭოს მიერ განხილული ასეთივე თხოვნა დოჩარისა და საბჭომ უარი უთხრა. ეხლაც იგივე პასუხი მისცა საბჭომ დოჩარს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძრიელ უჩიოდნენ ხმოსნები ფარნების სისუსტესა და მკრთალ ნათელს, უწესოებას ზოგიერთ ადგილების განათებაში. ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს, რომ განათების საქმე აბარია ქალაქის აგენტებს, რომელნიც ყოველს უწესოებას ატყობინებენ გამგეობასაო და უკანასკნელიც ჯარიმას ახდევინებს დოჩარს უწესოების გამოო, ხოლო რაც შეეხება სისუსტეს სინათლისას, მაგაში დოჩარის დანაშაული-კი არ არის, არამედ ფარნების უხეირობა და უვარგისობაო; უვარგისი ფარნები ჩააბარა ქალაქის თვით-მმართველობამ დოჩარს და ამიტომ ჩვენი ქუჩის ფარანი-კი არ ანათებს, ბჟუტავსო.

ხანგრძლივი კამათობა გამოიწვია სარჩიელმა საფინანსო და საშენობო კომისიებისამ მასზედ, რომ საქალაქო შენობათა განყოფილება ექვემდებარებოდეს ერთს გამგეს და არ იყოს განაწილებული სხვა-და-სხვა მოხელეთა უფროსობის შორის. სარჩიელის აზრით, საჭირო მოწვეულ იქმნას ერთი უფროსი ინჟინერი წელიწადში ოთხას თუმნად და ამ უფროსს ებაროს მილის წყალის საქმეებიც და ყოველ გვარი შენობებისაც ქალაქისა. ეს წინადადება მიღებულ იქმნა საბჭოს მიერ. უფროს ინჟინერის ადგილზე გამგეობა მოიწვევს ეხლანდელს დირექტორს მილის წყალისას, ბ-ნს ენფიაჯიანცს.

შემდეგ საბჭომ განიხილა მოხსენება გამგეობისა მასზედ, თუ რა დანიშნულება უნდა მიეცეს საქალაქო ადგილს, რომელზედაც წინაზე კავკასიის გამოფენა იყო, და აგრეთვე, მასზედ, თუ როგორ უნდა მოუაროს ქალაქის თვით მმართველობამ ალექსანდრეს ბაღს. მკითხველებს ეხსომებათ, რომ სხვა-და-სხვა იჯარადრებმა მისცეს წინადადება ქალაქის გამგეობას შესახებ იმისა, რომ ბაღი გაემართნათ გამოფენის ადგილზე და იქიდამ მთელი ქალაქის ქუჩები მოერთოთ სხვა-და-სხვა ხეებით თორმეტის წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ ქუჩებში აქეთ და იქით მხარეს ჩამწკრივებული ყოფილიყო ხეები ორის საჟენის დაშორებით ერთიერთმანეთზე. მაგრამ რადგან ეს საქმე ქალაქს წელიწადში დაუჯდებოდა არა ნაკლებ ათას ორასის თუმნისა, ამის მიზეზით გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ უკეთესი იქმნება გამოფენის მიწაზე ქალაქმა გააშენოს ხეები, მოიწვიოს ერთი ნასწავლი მებაღე და რამდენიმე ხელ-ქვეითი და მათის შემწეობით ორას-სამას თუმნად წლიურის ხარჯით გააკეთოს იგივე საქმე, რომელიც სხვათა ხელში დაუჯდება არა ნაკლებ ათას-ორასის თუმნისა. საბჭომ მიიღო სარჩიელი გამგეობისა.

ბოლოს განხილული იყო ნიკოლოოზის ეკკლესიის მზრუნველ ბ ნ მამაციშვილის თხოვნა მასზედ, რომ ნება მისცენ ამ ეკკლესიის მრევლს და გააკეთებინონ სკოლის სახლი საეკკლესიო გალავნის მოშორებით, ქუჩისკენ. საქმე იმაშია, რომ როდესაც ეკკლესიისათვის შემოურტყავთ გალავანი, იმ დროს ქუჩისკენ საკმაოდ კაი ნაჭერი საეკკლესიო მიწისა ქუჩის გასაგანიერებლად დაუნარჩუნებიათ იმ აზრით, რომ მეზობლებიც ასევე უკან დასწევენ თავიანთ მიჯნებს, და განიერი ქუჩა გვექნებაო. მეზობლებს არ დაუწევნიათ უკან. დღეს, რადგან ეკკლესიას არა აქვს ადგილი, რომ სამრევლო სკოლა აიშენოს, მზრუნველი სთხოვს საბჭოს ნება-რთვას მასზედ, რომ უწინდელ მიჯნებამდე გასწიოს ეკკლესიამ თავისი მიჯნები ქუჩისკენ და ზედ სახლი აიშენოს.

საბჭომ დაადგინა, ეს საქმე გარდასცეს საშენობო კომისიას.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Русскія Вѣдомости“-ში ფრიად საინტერესო წერილის დაბეჭდილი ამერიკის უნივერსიტეტების შესახებ. ეს წერილი ამოღებულია პიერ დე-კუბერტონის მოხსენებიდგან, რომელმაც საფრანგეთის საერო განათლების მინისტრის მინდობილობით მოიარა ჩრდილოეთი ამერიკა და დაათვალიერა ყველა იქაური გიმნაზია და უნივერსიტეტი. ამ მოხსენებას ეწოდება „Universités transattantiques, par P. de-Coubertin. Paris. Hachette, 1890“. ავტორის სიტყვით, ამერიკის ყველა უნივერსიტეტი მშვენიერად არის მოწყობილი.

ყველას გამართული აქვს თავისი საკუთარი ვრცელი წიგნთ საცავი, საუცხოვო მუზეუმი და მშვენიერი ლაბორატორია; ყოველ სასწავლებელთან მდიდრად არის მოწყობილი გიმნაზიუმები საგიმნასტიკო ვარჯიშისათვის, იქვე ასწავლიან ნავით სიარულსა და წყალში ცურვა ბანაობას. საკვირველი უფრო ის არის, რომ ეს ამოდენა მორთულობა სახელმწიფოს, შტატებს, არაფრად უჯდებათ, რადგან თითქმის ყველა საშუალო და მაღალს სასწავლებელს ამერიკაში კერძო კაცი აარსებს, კერძო კაცი ჰმართავს და კერძო კაცისავე ხარჯით სწარმოებს სწავლა. დამაარსებლებად უფრო მეტად ან რომელიმე ამ საქმისათვის თავდადებული პედაგოგია, ან რომელიმე შეძლებული კაცი, მაგალითებრ ეზრა კორნილისთანა, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში ცოდნის ნაკლებულობასა ჰგრძნობდა და 2½ მილიო-

## დროთა ბრუნვა

(შემდეგი*)

გიგო. ეჰ, ჯიუტი ხარ! მერე რა? ვიდექით, ვიდექით; ვინ იცის, რაერთი ხანი, დროს ვინა სთვლის ამისთანა შემთხვევაში. ერთი კიდევაო, ხო იცი ქალის ამბავი! დავეწაფენით და საჩქაროთ წამოვედით; ცოტა დაგვიგვიანდა, მაგრამ ვინ რას გვეტყოდა, ქვეყანა დანიშნულებათა გვთვლის? თორმეტ საათამდინ ვიჯექი მე მელოს ოთახში იმის კრაოტზე... კიდევ!.. კრაოტზე-მეთქი, იმის ფეხთით, ის კიდე წამოწოლილი იყო.

გიორგი. ტყუი!

გიგო. შენც რაღა დაგინიჭნია ტყუი, ტყუი! მაშ რაღას მალაპარაკებ, თუ არა გჯერა?

გიორგი. ხუმრობით ვამობ, ხო იცი ჩემი ხასიეთი? თქვი!

გიგო. შენ იხუმრე, მე-კი წუხანდელი ღამე ჩემ დღეში არ დამავიწყდება! წარმოიდგენ, როგორც ვაწველებდი წამოწოლილ მელოს! ხო იცი, როგორც ყველას უყვარს თეთრი ჩულქები; მეც დავუწყე ცდა, როგორმე გამესინჯა; ჯერ ძალიანობდა, არ შაიძლება, არ შაიძლებაო, მერე-კი აბა, ხო გამოცდილი გექნება, თავს როგორ დაიჭერდა, გამასინჯვინა...

გიორგი. ტყუი, გეუბნები!

გიგო. დეე ვტყუოდე! მერე მამიახლოვდა, დამიჯდა მუხლზე, მოვკვდი სალ-სალამათი კაცი...

გიორგი. ტყუი, ღვთის მადლმა!..

გიგო. ვტყუოდე! მეკვრება, მეკვრება, მახრჩობს; მეც, მეც, ხო იცი ვაჟკაცის მსუნაგობა! დაუწყობ გულის ძებნას; როგორც იცი, ჯერ არ შეიძლება, არ შაიძლებაო...

გიორგი. (წამაიწევს ცოტა) იცი, იცი?.. ტყუი, ტყუი, როგორც...

გიგო. ვტყუოდე!.. აბა ქალი თავს დაიჭერს? არ შაიძლება, არ შაიძლებაო, მე-კი ხელი ჩაურიე...

გიორგი. მივარდება ყელში წაავლებს ხელსა და არჩობს) ტყუი, როგორც ჰარამზადი! (ჰკრავს ხელსა და გადააქცევს, გიგო წამოვარდება ფეხზე.)

გიგო. ბნედ...

გიორგი. შე სალახანავ, შე... (წაავლებს ბოთლს ხელსა, გიგო გარბის; გიორგი ესვრის, ვერ მოარტყავს; გიგო გავარდება.)

VI გამოსვლა

გიორგი მარტო

გიორგი. (კარგა ხანს პირზე ხელებ მიფარებული დგას) ვგრძნობ, რომ რაღაც უბედურება მამელის; არ ამცილდება, არ ამცილდება!—რატო არ დავახრჩე, რატო რევოლვერი არ ვესროლე, ხო ჯიბეში მქონდა? ამასაც მოვესწარი, რო იმისთანა ვინმე მელოზე ასეთს ამბებს იგონებს,—მელოზე, მელოზე? ღმერთო, რა საშინლად ვიტანჯები!—სალახანა მიკიტანი მელოსა სწამებს უწმინდურობას, გარყვნილობას? გარყვნილობა რათ არი? განა მაგაზე უფრო უარესი არ გადამხდა თავზე? მაშინ რატო არ მეგონა?—მე რაღას გადავირეულვარ? რა ნება მაქვს, რო მეჯავრება იმ ჰარამზადის დაახლოვება?—არა მჯერა? რა არი გასაკვირეველი? დღეს მე უყვარვარ, ხვალ სხვა შაუყვარდება! რაზე გადავირიე, რაზე ვახრჩობდი ადამიანს? ტყუილს ამბობდა თუ მართალს, ჩემთვის სულ ერთი არ არი? ხვალ ჯვარს ვიწერ,—მელო თუნდ გათხოვებულა, თუნდ არა,—მე რა საქმე მაქვს? მე რო უარი ვთქვი, განა ჩემს მეტი ვაჟი გაწყვეტილა ქვეყანაზე? ეხლანდელ დროში რა საჭირო კეთილშობილება,—ფული იყოს, თორე თავადსაც ლაქიათ იყოლიებს?—მერე შესაძლებელია, მელომ ვინმე... შაიყვაროს... უყვარდეს ისე, როგორც მე უყვარდი?.. რატომაც არაო? აი თუნდა მებურნეთის შვილი,—აკი უყვარს და, ეტყობა, გაგიჟებითაც უყვარს!—რაზე გავსულელდი, რატო არ ვიჯერებდი,—რა არი აქ გასაკვირველი, რო ქალს ახლა სხვა შაუყვარდა!.. მელოს? იმ მელოს, რომელიც ერთ დროს მე მეხვეოდა, მე მეკვრებოდა, ასე გონია ეშინიან რისამეო?—არა, არ შაიძლება! ტყუის, ტყუის ის სალახანა! მელო სხვას როგორ შაიყვარებს, როგორ გაირყვნება ისე, რო ყველა ვაჟკაცს გათხოვებას გულისთვინ ზედ ეკვრებოდეს?—არა, არა, ტყუილია....რეები თქო მელოზე? სად არი მელო, სად არი,—ვკითხო, დავრწმუნდე, რო ტყუის ის ჰარამზადი!—რა უბედური ვარ,—მეშინიან, გონება მერევა! (სტოლთან დაჯდება) აბა როგორ წარმოვიდგინო, რო მელო იმ სალახანას... მუხლზე აჯდება, რო... ოჰ, სიკვდილო! (თავს ჩაჰკიდებს) თამრო? თამრო, ჩემი საცოლო? ხვალ ხო ჯვარი უნდა დავიწერო!—არა, არა, ის სალახანა იწერს ჯვარს მელოზე, ნიშანიც მიუტანია!.. მერე ვინ მისცა ნება? მერე მელო ჩემ დაუკითხავად გათხოვდება? როგორ შაუძლიან!.. უჰ!.. რაღა გათხოვება? უარესი ხო კიდეც მოხდა!.. მელო, ჩემი ერთად ერთი აზრი და გონება, ჩემი გათენების და დაღამების მასკვლავი, ეხლა სხვისია, ეხლა აღარცკი მოვაგონდები,—რაღას მოვაგონდები, როცა იმ ჰარამზადს იმისი სულიცა და ხორციც ხელში უჭირავს!.. (თავს ჩაჰკიდებს, მერე აიწევს) როგორღაც გადავირიე! კაცი ხვალ ჯვარს ვიწერ ქალზე, რომელიც... რომელიც ქვეყანას მ...რჩ... უნდა მერჩიენოს,—რაზე გადავირიე? ჩემთვინ სულ ერთი არ არი, ვინ ირთამს მელოს—სალახანა თუ კაი კაცი, რათ მინდა, რო ვახსომდე?—ეხლა ჩემთვინ იმას არა სცალიან, ეხლა, იქნება, წამოწოლილია ქვეშაგებში და გუშინდელ ამბავს ღრუანტელით ტანში იგონებს? როგორ ვიტანჯები!—მაშ... მაშ არსებობს იმისთანა კაცი, რომელსაც შეუძლიან ცუდი, გარყვნილი აზრები გაუტაროს თავში, გული ჭინით აუტოკოს!—არა, ტყუილია, ტყუილი! მელო, მწამხარ, როგორც ცის ანგელოზი,—ნუ გამიმტყუნებ ამ ერთადერთ იმედს! თუ მე გავფუჭდი, შენ მაინც შაინახე შენი სიწმინდე, შენი ანგელოზობა!—გვიან რო იყოს? მაშინ ხო მე ვარ დამნაშავე, მე ვარ ჩემი თავის მკვლელი!—ბედი ხელში მეჭირა და ხელიდამ გაუშვი!—თამრო? არა, არა, თამრო... მელო, ერთი უკანასკნელად დამენახვე,—უბედური ვარ, ვგრძნობ, რო ჩემზე უბედური ქვეყანაზე არავინ არი!.. (ჩაჰკიდებს თავს) ან გიგო რათ იტ-

*) იხ. „ივერია“ № 181 182, 183, 184 185, 189 და 190.

ნი ფული შესწირა თავის სახელის უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

ასეთივე ადამიანი იყო ჯონ ჰოპკინსი, რომელმაც ამ საგნისათვის 7½ მილ. მან. არ დაიშურა, ტიულენი, 3 მილ. მანათამდე შემწირველი და სხ. მრავალნი. ხშირია ისეთი ამბავიც, რომ უმაღლესი სასწავლებელი იმართება ხელის მოწერით, რათა რომელსამე პედაგოგს შემწეობა აღმოუჩინოს იმის გამართვისა. მაგალითებრ, გუმერტონის სიტყვით,

დ—რ პიბოდი, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა ინგლისში და რომელმაც იქაური საშუალო განათლების ავკარგიანობა კარგად იცის, კარგა ხანია იმის ოცნებაშია, რომ საგანგებო საშუალო სასწავლებელი დააარსოს როგორმე და ამით შეაკავშიროს უნივერსიტეტი და პირველ-დაწყებითი სასწავლებლებით. ბოლოს გადაწყვიტა, რომ ახლა-კი დროა საქმეს მიჰყოს ხელი, დიდ-ძალი წერილი მისწერა შეძლებულს ხალხს და აუწყა, რომ სასწავლებლის დაარსებას ვარ მოწადინებული და კარგი შემთხვევა გაქვთ, თუ გსურთ საუკუნოდ დაუვიწყარი გაიხადოთ სახელიო. ამ წერილების დაწერამდე პიბოდს უკვე ჰქონდა 37,500 მანათამდე ფული, სამს დღეში შეკრებილი ბოსტონს. შეხვდებოდა თუ არა ნაცნობს ქუჩაზედ, მაშინვე ჩამოუგდებდა ლაპარაკს: „იცი, რა ახალი ამბავი გაუწყო, სასწავლებელს ვაარსებ“.—ძალიან კარგი აზრიაო, უპასუხებდნენ და მაშინვე აძლევდნენ 200 მ. 2000 მ. და 20,000 მ. აძლევდნენ და დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ დ—რი პიბოდი საქმეს არ წაახდენს, ამ ფულს ოხრად არ გადაჰყრისო. ნათესავებმა და მეგობრებმაც სასწავლებლისათვის ადგილი შესწირეს, და ამ გვარად დაარსდა ახალი სასწავლებელი. რაც შეეხება მოწაფეებს ჯერ კედლებიც არ იყო სასწავლებლისა ამოყვანილი, რომ შეგირდები მაშინვე ეწერებოდნენ.

კერძო ხალხივე ჰზრუნავს სასწავლებლების მოსამართავადა და მოსაწყობად. ვსთქვათ, უნივერსიტეტს ცუდი მუზეი აქვს, ვანდერბილტი მაშინვე სწირავს ერთს მილიონს ამ საქმისათვის; გიმნაზიუმს კარგი სადგომი არა აქვს, ერთი რომელიმე იქ ნასწავლი სტუდენტი აშენებს თავის ხარჯით; ლაბორატორია დასჭირდებათ-და, საკმაოა დირექციამ საზოგადოებას მიჰმართოს, ან მარტო განაცხადოს, ესა და ეს გვაკლიაო, მაშინვე უშოვნიან საჭირო ფულს. ამისი მიზეზი ჯერ ის ნდობაა, რომელიც სასწავლებლის დამაარსებელსა აქვს მოპოვებული, და მერე ის გარემოება, რომ უნივერსიტეტი ცხოვრებისა, ხალხისაგან განკერძოებული არ არის. დირექტორი თავგადადებულია თავის სასწავლებლისათვის და ხშირად თითონვე ანდერძად დიდ-ძალს ფულს უტოვებს სიკვდილს შემდეგ. ამას გარდა, ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს საზოგადოებაში და დიდი გავლენა აქვს. ჩემის აზრითაო, ამბობს გუბერტონი:

კემბრიჯის უნივერსიტეტის დირექტორი ელიოტი თავის პაწია სახლს პრეზიდენტის „თეთრ სახლზედაც“ არ გასცვლის. შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მდგომარეობა მტკიცე და შეურყეველი არ არის და ვერც მშვიდობიანს ვუწოდებთ; კემბრიჯში-კი იგი არხეინად არის და ხვალინდელის დღის შიში არ აწუხებს. ამას დაამატეთ ის საზოგადო სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც დირექტორი ელიოტი სარგებლობს, და აშკარად დარწმუნდებით, რომ ეს კაცი თავის ბედის მომდურავი არ უნდა იყოს.

უნივერსიტეტის დირექციაში ჩვეულებრივ, მასწავლებელთა და პროფესორთა გარდა, საკმაოდ ბევრი ხალხია, რომელთაც უმეტესად ამ უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულები ირჩევენ. ზოგიერთი უნივერსიტეტი ამასაც არა ჰკმარობს და გამგეობაშივე ირჩევს თვით სტუდენტებსაც.

ამჰერსტის, ნიუ-ორლეანისა და სხ. უნივერსიტეტში, ადმინისტრაციის საბჭოს გარდა, არსებობს აგრეთვე სენატიც, რომლის წევრი სტუდენტობის დელეგატები არიან. ამ სენატში უფროსის კურსის სტუდენტთაგან ოთხი წარმომადგენელია, მე-3 კურსზე მყოფთაგან—სამი, მეორეზედ—ორი და პირველ კურსელთაგან—ერთი. ესენი ჰსინჯავენ და ამტკიცებენ ყოველსავე წესსა და რიგს, უნივერსიტეტში შემოსაღებს. აი სწორედ ეს გარემოებაა მიზეზი, უნივერსიტეტის საქმეში სტუდენტთა ჩარევა, განსაკუთრებით იმ სტუდენტთა, რომელნიც ცხოვრებაში არიან გასულნი, რომ სასწავლებელი ჰყვავის და საზოგადოებასთან შეუწყვეტელი კავშირი აქვს. ამ გარემოების წყალობითაო, ამბობს გუბერტონი: უნივერსიტეტს ყოველთვის ხელს უმართავს, შემწეობას არ აკლებს და ჰმფარველობს.

ამერიკაში სტუდენტები თავისუფლების დიდი მოყვარულნი არიან და იმათს კერძო ცხოვრებაში არავინ ერევა არც სასწავლებელი და არც პროფესორნი. მხოლოდ ხელ-წერილი აქვთ ჩამორთმეული, რომ უნივერსიტეტის წესსა და რიგს ნურაფრით შეჰქლახავთ და დაარღვევთო, და ეს არის და ეს. სტუდენტთა შორის, ამხანაგობათა გარდა, დიდ-ძალი პაწია საზოგადოებაა დაფუძნებული. სტუდენტები პროფესორის ხელმძღვანელობით შეადგენენ ხოლმე სამეცნიერო საზოგადოებას იმ აზრით, რომ შეისწავლონ რომელიმე განსაკუთრებული, სპეციალური საგანი. ამ რამდენისამე კაცისაგან შემდგარს პაწაწა სამეცნიერო საზოგადოებაში ყოველ გვარს საგანზეა ლაპარაკი, მჭევრ-მეტყველებასა სწავლობენ, მწერლობას მისდევენ და სხვა-და-სხვა გვარს ხელოვნებაში იწვრთვნებიან. დასასრულ, ყოველ უნივერსიტეტთან უეჭველად დაარსებულია ერთი, ან ორი სასტუდენტო გაზეთი, რომელშიაც ისეთი რიგიანი წერილები იბეჭდება თურმე, რომ გუმერტონი აღტაცებაშია მოსული.

სასწავლებლის გაზეთიო, ამბობს იგი: ძალიან სასარგებლოა. საფრანგეთშიაც სცადეს ასეთისავე გაზეთების გამოცემა და საქმე მოაწყეს კიდეც. მასწავლებელთა უმეტესობას ჰერც-კი წარმოუდგენია, რა დიდს საქმეს აკეთებს ეს გაზეთი და როგორ უადვილებს მასწავლებელს საქმეს. რომ იცოდნენ და გაგებული ჰქონდეთ სასტუდენტო გაზეთის მნიშვნელობა, ხელს, კი არ შეუშლიდნენ, მოუმართავდნე და იმის დაარსებას ეცდებოდნენ. ამერიკის ყოველს სასწავლებელშია დაარსებული გაზეთი. აგერ უკვე რამდენიმე წელიწადი ყურადღებით ვადევნებთ თვალ-ყურს და ერთხელ არ შემხვედრია უადგილოდ ნახმარი სიტყვა, თუმცა ამ გაზეთებს ცენზორი არა ჰყავს:

ვიციო, დასძენს ბოლოს გუმერტონი: რომ ეს ახალი შემოღებები ბევრს არაფრად ეჭაშნიკება და არაფრად მოეწონება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ინგლანდელს სასწავლებლებში ყმაწვილ-კაცობას, მე-XVII საუკუნესათვის-კი არა, მე-XX საუკ. ვამზადებთო.

## რუსეთი

ამ უკანასკნელს ორ წელიწადს მეტის-მეტად ბევრი ნახვრეტიანი ფული მივიდა ხაზინაში. ამგარემოებას მთავრობამ ყურადღება მიაქცია და დარწმუნდა, რომ ვერცხლის ფულის გახვრეტა ზოგიერთს ხელობადაც გაუხდია, რომ სარგებლობა ნახოს რამე-აქედან. მთავრობა თუ ყურადღებას არ აქცევდა ამ საქმეს, მარტო იმიტომ, რომ აგრე რიგად ბევრი არ მიდიოდა ხაზინაში გახვრეტილი ფული. ეხლა-კი რა-კი დაბეჯითებით შეიტყო, რომ მარტო სამკაულების გასაკეთებლად არა ხვრეტავენ ფულსა და ბოროტ-მოქმედებასაც მოუკიდნია ამ ნიადაგზე ფეხი, ცალკე წესდება გამოსცა ამ საქმის შესახებ ბოროტ-მოქმედების ასალაგმავად. აი თვით ეს წესდება: ხაზინა მიიღებს ნახვრეტ ვერცხლის ფულს მხოლოდ 1891 წ. პირველ იანვრამდე. 1891 წ.—1893 წ. პირველ იანვრამდე თუ ნახვრეტ ფულს მიიტანს ვინმე ხაზინაში, უთუოდ უნდა აიწონოს და რამდენი მისხალიც აკლდება, იმდენი 24 კაპეიკი უნდა გადაიხადოს შემტანმა. 1893 წლის პირველ იანვრიდგან ხაზინა სრულიად აღარ მიიღებს გახვრეტილს ვერცხლის ფულს. ფინანსთა სამინისტრომ ეს განკარგულება ყველა სახაზინო პალატას უკვე აცნობა და საყოველთაოდაც გამოაცხადა.

ფინანსთა სამინისტრომ უბრძანა ხარჯის ამკრეფ ზედამხედველებს, შეატყობინეთ რომელ სოფლის გლეხებს რა დროს უფრო შეუძლიანთ სახელმწიფო ხარჯის მიცემაო. ხარჯის მკრეფი ზედამხედველები ვალდებულნი არიან, დაწვრილებით აცნობონ სამინისტროს, რომელ ადგილის გლეხებს რა დროს რა შემოსავალი აქვთ და რისა. როცა გლეხებს მოსავალი მოუცდებათ ან გვალვისა, ან სეტყვისაგან, და ან სხვა მიზეზისაგან დიდი ზარალი რამ მიეცემათ, მაშინ ხარჯის მკრეფმა ზედამხედველებმა უნდა შეატყობინონ სახაზინო პალატას, რომ ვადა გადაუდოს ხარჯის მიცემისა და ან სრულიად გაანთავისუფლოს ხარჯისაგან.

— ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას ახალი წესდება ქარხნებში დაშავებულ მუშების დაჯილდოვებისა. ყოველთვის, როცა მუშა ქარხანაში დაშავდება, ქარხნის პატრონი ვალდებულია ფულით დააჯილდოვოს დაშავებული და იმის სახლობა. თუ რამდენი უნდა მისცეს ქარხნის პატრონმა დაშავებულს მუშას, ეს იმაზეა დამოკიდებული, ძლიერ იქნება მუშა დაშავებული თუ არა, შეეძლება კიდევ შემდეგში მუშაობა თუ არა. თუ მუშა სრულიად დასახიჩრდება და თავი აღარ ექნება მუშაობისა, მაშინ ქარხნის პატრონი ვალდებულია, სულ ერთიან უზღოს რაც-კი რამ მუშას ზარალი მოუვა და წამლობაზე დახარჯული ფულიც იმანვე უნდა იკისროს. როცა მუშა დაშავებისაგან კვდება, მაშინ იმის ოჯახს პენსიად ენიშნება

---

ყუებოდა, რა ინტერესი ჰქონდა!... ეხლა მელო იმისია, სულითა და ხორცითაც, ეხლა მელოს ქვეყანა დავიწყებული აქვს, გონებაში სულ გიგო ჰყავს, სუ იმაზე ფიქრობს, ოცნებობს, სუ იმის ხვევნასა და ალერსშია, სუ ის არი იმისი სიცოცხლის საგანი და ფიქრი, იმას უნდა ჩაუვარდეს ხელში, იმან უნდა ნახოს, ნახა კიდევაც, იმისი დაფარული მშვენიერება!.. მე კი... მე-კი... უგუნურად, ჰკვა-არეულად ჩემს ბედნიერებას ხელი ვკარი, სხვას ჩავუგდე ხელში... დაუბრუნებლათ, დაუბრუნებლათ, საუკუნოთ... რაღა დამრჩომია ამ სიცოცხლეში? თამრო? თამრო, თამრო, ახ თამრო! რა რიგ მეჯავრები,—რო ჩამივარდე ხელში, გაგანადგურებდი!.. (სიჩუმე) მელო... მელო... უბრალო სიტყვაა ეხლა... ის მელო მკვდარია, დამარხული... გიორგი? გიორგი ცოცხალია, ცოცხალია, ისეთივეა, როგორიც იყო. ტყუილია, მელო,—შენს მეტი არავინ მყვარებია თავის დღეში,—დამიმტკიცე, რო ტყუილი თქო იმანა, ტყუილი,—მაშინ სიამოვნებით მოვკვდები... (სიჩუმე) რა საშინელი სიმძიმე მაწევს გულზე,—რა უბედურება დამტრიალებს თავსა,—სიკვდილი მირჩევნია ამოდენა ტანჯვას..—თითონ, მე თითონ, მე თითონ ვთქვი უარი ბედნიერებაზე, მე თითონ გადავეცი სხვას ხელში... რაღა დამრჩომია?.. დავკარგე მელო, დავკარგე მელო, დავკარგე სიცოცხლის მიზანი ჩემი უგუნურობით... ჩემი გარყვნილობით... ჩემი უსვინდისობით... (ტირის).

### VII გამოსვლა

იგივე და სოლო

შემოდის, ვერ შენიშნავს გიორგის

სოლო. ვერც სეირნობა გააქარვებს ცუდ ფიქრებს! ესე უფეროლათ უნდა გავატარო მთელი ჩემი სიცოცხლე. რის მაქნისი ვარ? ჩემი თავისთვისაც არა ვარ გამოსადეგი, სხვისთვის ხო რაღა ვთქო! ადამიანურათ ვერ მილაპარაკნია, ადამიანურათ ვერ გამიცინია! სახლში ყოფნა მინდა, სახლში ვერ დამდგარვარ, — ყოველ წამს შაიძლება მამა შამოვიკლა, ორი ადამიანი ერთად ჰკვიდამ შავშალო. რეერთხელ მამსვლია აზრათ თავის მოკვლა, მაგრამ რაღაც გრძნობა, რაღაც იმედი, დამალული იმედი, ხელს მიჭერს,—დედა? მელო? ეჰ, სულ ერთია, უბედურები არიან,—მე რა შამიძლიან, იმათ რა შავეწიო? უბედო მასკვლავზე ვარ დაბადებული, ვიცი,—ამაზე უკეთესი არა მამელის-რა;—რა ძაღლ-უმადური ცხოვრებაა!—წაიღოს თავადების ხეირი, ჩემზე უარესი ბევრია!.. (გაივლის გიორგის მხრისაკენ და უცებ შესდგება) ეს ვისა სძინამს აქ უდროოდროს, ესეც უგზო-უკლო ვინმე იქნება! (მიუახლოვდება) გიორგია! აქ რა უნდა? მთვრალია. ქორწილის წინადღითვე დათრობა? (თავზე ხელს დაადებს) გიორი, გიორგი! (გიორგი აიწევს თავს) გიორგი, აქ რა ძილის ადგილია?.. ვა, ბიჭო, ტირი?

გიორგი. ვინა ხარ?.. სოლო, შენა ხარ?.. გთხოვ, მამშორდი, მარტოკა გამიშვი,—მე ჩემი თავიც მეყოფა!

სოლო. ბიჭო, რა არი შენ თავს? ქორწილის წინ ტირილი ვის გაუგონია?

გიორგი. რა გინდა ჩემგან? გინდა უკანასკნელი სული ამომძრო?

სოლო. გატყობ, გიორგი, რაღაც ცუდი რამა გწვევია,—რა ამბავია, ძმაო?

გიორგი. ახ, ისე ვარ უბედური, რო დედამიწას რო ესმოდეს რამე, გასკდებოდა და თან ჩამიტანდა! მამშორდი, წადი, ნუ მელაპარაკები,—შენ... შენ ხო მელოს ღვიძლი ძმა ხარ, ერთი სისხლი გიტრიალებთ,—წადი, მე უსვინდისო ვარ, ღირსიც არა ვარ, რო მელოს სახელს ვახსენებდე... ჰო, სოლო, შენი ძმობის... შენი პატიოსნების ხათრით... მითხარ, ნუ დამიმალამ,—მართლა თხოვდება მელო თუ არა?...

სოლო. უქეიფოთა ხარ, წამო, გიორგი, ჩემ ოთახში მაისვენე, მეც ამ დუქანში ვდგევარ...

გიორგი. სოლო, ძმობას, ნუ დამიმალამ, მართლა იმ იალალაშვილს მისთხოვდება?..

სოლო. მელო არა თხოვდება, ან იმ მიკიტანს ძუკნა ძაღლს-კი მივათხოვებ...

გიორგი. თითონა თქო, თითონა თქო—შენ რა გეცოდინება?.. სიყვარული დაფარულია. არა, შენ არა გცოდნია, მელოს გაგიჟებით უყვარს გიგო, სულ ერთათ არიან, ერთათ დასეირნობენ მარტონი ტყე-ტყე, ურთმანეთოთ ერთი წამიც ვერ გაუძლიათ... შენ რა იცი,—რომელი და გაგიმჟღავნებს გულის საიდუმლოს?..

სოლო. გიორგი, მაგეებით მაინც ნუ შეურაცხებ იმ საწყალს; მელო თავისთავს აღარა გავს,—დედა უკან დასდევს,—აქ არა აიტეხოს რამე; რაც შენ იმას გაშორდი, ის კარში არ გამოსულა, ცოდოა. ეხლა მაინც დაინდე, მოაწყინდა, სხვა უკეთესი უფრო საშენო ნახე,—ნულარ დაიბრიყვებ მაინც: საწყალს უშენოთ მზე არ ამოსდიოდა...

გიორგი. სოლო რო იცოდე, როგორ ვიტანჯები!.. ჩემზე უბედური ქვეყანაზე არავინ არ არის! მელო!—იცი, სოლო, როგორ მიყვარდა,—როგორ მიყვარს, მიყვარს!.. მთელ სიცოცხლეს მივცემდი, ნეტავი ერთი საათი დაბრუნებულიყო ის, რაც მე ესე უგუნურათ ფეხ-ქვეშ გავთელე...

სოლო. გიორგი, ავათ ხარ: ხვალ ჯვარი უნდა დაიწერო...

გიორგი. არა, არა, არა!.. განა ისეც გავფუჭდი, განა ისეც დავეცი, რო პირუტყვობაც გავწიო!.. არა, მე ღირსი არა ვარ მელოსი, მე უსვინდისო ვარ, უპატიოსნო ვარ,—მაგრამ პირუტყვობას-კი არ გავწევ, არა, არა. არა!.. (გავარდება)

სოლო. გიორგი, სად მიხვალ?—აქ არა აიტეხოს-რა! (გამოუდგება, მერე უკან დაბრუნდება) ჩაიკეტა!.. მაინც ყოველთვის პატიოსანი ბიჭი მეგონა. იტანჯება საცოდავი; რეერთი უსიამოვნება ნახეს ორთავემა!.. ნანობს ეხლა... თავის დღეში დავიჯერებდი, რო გიორგი უსვინდისო კაცია!.. საწყალი მელო! ეს ამბავი რო გაიგოს, ჰკვიდამ შესცდება... თორმეტი საათი,—ეხლა რაღა ეშმაკი დამაძინებს,—წავიდე ისევ გავიარო... (გადის).

(შემდეგი იქნება)

სრული წლიური ჯამაგირი მუშისა. თუ მუშა მორჩა და ცოტაოდენი მუშაობაც კიდევ შეუძლიან, მაშინ ქარხნის პატრონი მხოლოდ შესაფერს გადასახადს იხდის მუშის სასარგებლოდ.

— ზეერჯელ მოხდება ხოლმე რომ ერთს სასწავლებელში ერთის დანაშაულისთვის ყმაწვილს მხოლოდ რამდენსამე დღეს ჩასვამენ კარცერში და მეორე სასწავლებელში იმნაირისავე დანაშაულისათვის ყმაწვილს სრულიად გამორიცხავენ ხოლმე სასწავლებლიდგან. ამ უწესოების მოსასპობად სამოსწავლო მთავრობას განზრახვა აქვს, ვრცლად აღნიშნოს, თუ რა დანაშაულისათვის ყმაწვილი როგორ უნდა დაისაჯოს ხოლმე სასწავლებელში და ან რომელ დანაშაულისათვის უნდა გამოირიცხოს სკოლიდგან.

— სამკურნალო დეპარტამენტი აპირობს, გამართოს ყველა დიდ-ქალაქში საქიმიო სადგური, რომლის მოვალეობა მხოლოდ ის იქნება, რომ ბაზარში გასაყიდად გამოტანილი ხორაგი გასინჯოს ხოლმე და იმის ავკარგიანობას ადევნოს თვალ-ყური.

## წვრილი ამბები

ბევრნი ამბობენ, რომ შეიძლება ფრჩხილებზე შეეტყოს კაცსა, რა ხასიათისა და ჭკუის პატრონიაო. თუ ფრჩხილები გრძელი და თხელი აქვს, ეს იმის ნიშანია, რომ კაცს პოეტური გრძნობანიჭი აქვს და ხელოვნობა უყვარსო. ჭკვიანსა და მოსაზრებულს კაცს, გძელსა და პტყელს ფრჩხილებზე შეეტყობა. განიერი და მოკლე ფრჩხილები იმის ნიშანია, რომ კაცი ბრაზიანი და ჯიქია. მაგარი და ხმელი ფრჩხილები გულქვასა და აურზაურის მოყვარე კაცსა აქვს. მოდუნული ფრჩხილები იმის ნიშანია, რომ კაცი ზორბოტია და პირფერობა უყვარსო. რბილი ფჩხილები იმ კაცს გამოუვა, რომელიც ჭკუითაც ღარიბია და ჯანითაც სუსტი. მოკლე და ხორცამდე დაკვნეტილი ფრჩხილები იმასა ნიშნავს, რომ კაცი გარყვნილია და სულელიო.

— ორს ფრანგ ზღვის ინჟინერს დაუთვალიერებია ფოლკსტონის არხი და დარწმუნებულა, რომ შეიძლება ხიდი გაიდოს ინგლისიდგან საფრანგეთამდეო. წყალი ხიდის გასაკეთებელს ადგილას თითქმის ყველგან ერთი სიღრმისააო.

— ავსტრიელი პროფესორი იოსები უკეთეს მცოდნედ ითვლება ბოშების ენისა, მათის ზნე-ჩვეულებისა და ადათისა. პროფესორს ბევრი უწერია ბოშებზე და ისიც-კი გამოუკვლევია, თუ რა ადგილას როგორი კილო აქვს იმათ ენასაო.

— პენსილვანიის ქალაქ პოსტვილში ამას წინად ზედ შუა დღეზე ისეთ ნაირად დაბნელებულა ღრუბლებისაგან, რომ გეგონებოდათ, ეს ეს არის ჭექა-ქუხილი ასტყდება და წვიმის თქეში მოვაო. როცა ღრუბელი ახლო მოსულა დაუნახავთ, რომ ღრუბელი-კი არა, ერთგვარის მწერის ზრბო ყოფილა, რომელიც ისეთის ზუზუნით მოდიოდა თურმე, თითქოს ქარი უბერავსო. უეცრივ დაუწყია ჭაერიდგან მიწაზე დენა და სახლის ბანები და ქუჩები სულ ერთიან დაუფარავს. როცა სულ ერთიან დაბნელებულა და სანთლები აუნთიათ, მხოლოდ მაშინ უნახავთ, რომ ეს აურებელი მწერი სულ ჭუჭუმკალა ყოფილა, რომელიც ციცინათელასავით ანათებდა. ქუჩაში სიარული გაძნელდა თურმე, რადგანაც ფეხები უსხლტებოდათ გაშეშებული მწვრების სისხლზე. საღამოზე ცეცხლის მქრობი რაზმი გამოსულა, წყალი დაუსხავს ქუჩებზე და მრავალი მწერი დაუხოცია, ბევრიც კიდევ აფრენილა და წასულა.

— ზეერჯელ მომხდარა, რომ საქონლის ნახირს ორთქლ-მავალი გაუჩერებია, მაგრამ იმ ნაირი გაჩერება-კი, რაც ამას წინად პენსილვანიაში მომხდარა, მგონი ჯერ არავის გაუგონია. პენსილვანიის ქალაქ პალმში ფუტკრებს გაუჩერებიათ ორთქლ-მავალი. როდესაც იმ სადგურზე გაჩერებულა და წყალს იღებდა თურმე ორთქლ-მავალი, მაშინისტ დაუნახავს, რომ ფუტკრის მართველი მოდიოდა მახლობელ საფუტკრიდგან. მაშინისტი თავის თანაშემწეთურთ მაშინვე გადმომხტარა ორთქლ-მავლიდგან და სადგურის სადგომში შეუფარებიათ თავი. ერთი კაცი, რომელიც ქვაბს ცეცხლს უკეთებდა თურმე, ვერ გადმოსულა დროზე, დახვევიან ფუტკრები და თავ-პირი აუნთიათ კბენით. საწყალი გადავარდნილა და უგრძნობლად დაცემულა იქვე მინდორზე. წასვლის დრო მოსულა, მაგრამ აბა როგორ წავიდოდნენ. ამ ხანობაში მაშინისტი და სადგურის უფროსი იმის თათბირში ყოფილან, როგორ მოვასეხრხოთ საქმეო. ბოლოს მაშინისტს მოუფიქრებია, მოუბურავს თავპირი, გამოვარდნილა, წყალი მიუშვია ფუტკრისთვის, აქეთ-ქით გაუფანტია და უეცრივ გაუქანებია ორთქლ-მავალი, რომ დროზე მოჰშორდება ფუტკარსა.

— თითქმის ამ ნაირივე ამბავი მომხდარა შტატ ოგიებშიც. ქალაქ ვილმინგტონს აურებელი ბაყაყი თურმე მიაწყდა, რიგზე და რაზმებად დაწყობილი. დახვევიან მცხოვრებლები რკინის გზის მახლობლად, ბევრი უსრესიათ ზედ რკინის გზაზე, მაგრამ ვერა და ვერ შეუყენებიათ: ბაყაყებს ყოჩაღად გაუვლიათ ქალაქი და ქალაქს იქით მდინარე ჯონსომბერტში გადაცვივნულან.

## დეპეშა

10 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ ბუხარაში დიდის ამბით მიიღო ფინანსთა მინისტრი ემირმა თავის სასახლეში. მინისტრს მიართვეს უმაღლესი ორდენი ბუხარისა, შემკობილი ბრილიანტებითა, და მრავალი სხვა ძვირფასი საჩუქარი.

გზათა მინისტრმა დაათვალიერა ამ დღეებში ორიოლისა, ვიტებსკისა და პოლესიის რკინის გზები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უფრო შპალებს.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ მთავრობას განზრახვა აქვს, დააარსოს იმპერიის ყველა მართლ-მადიდებელ მონასტრებში უსასყიდლო ბიბლიოთეკები გლეხ-კაცების ყმაწვილებისათვისაო. „С.-Пет. Вѣд“-ი იუწყება, რომ მომეტებული ნაწილი ვაჭრობისა იმიერ-ბაიკალის მხარესი ჩინელების ხელში გადავიდაო. იქაური ადმინისტრაცია შეუამავლობს, რომ ღონისძიება იქმნას მიღებული ჩინელების ასე მრავლად შემოსევის წინაამდეგაო.

„Нов. Вр.“-ია იუწყება, ჩვენი მთავრობა ცდილობს უცხო ქვეყნების მთავრობათა წინაშე, რომ რუსეთის თამბაქო იყიდებოდეს სამზღვარ-გარედაო.

გუშინ ოდესაში დაიწყო კრება სამხრეთ-რუსეთის წისქვილების პატრონთა. კრებას აზრად აქვს მოიპოვოს ღონისძიება, რომ საზღვარ-გარედ უფრო მეტი ფქვილი იგზავნებოდეს.

**პარიჟი.** აქ დაიწყო საერთაშორისო კრება, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს, რა ღონით შეიძლება მოისპოს ტყვეობა-მონობა. ფიქრობენ მოითხოვონ, რომ დაუყოვნებლივ მოისპოს ადამიანთა დევნა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს აფრიკაშიო.

**სტამბოლი.** მუსა-ბეი, რომელმაც მტარვალობით იჩინა თავი სომეხთა შესახებ, ხელ-მეორედ იქმნა გაგზავნილი არაბეთს.

11 სექტემბერი

**ბელგრადი.** ვენგრიის საზღვარზე კვლავ ნება დართულ იქმნა გაატარონ ხოლმე სერბიის ღორები.

**რომი.** იტალიის ახალშენ მასსოვაში ხოლერა ვრცელდება იტალიის ჯარებშიაც.

პეტერბურგის ბირჟა, 4 სექტემ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — " | — " | 6 16 |
| ტამოჟნის კუპონები | — " | " | 123½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 12 | " | — " |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — " | — " | 227 |
| —მეორისა | — " | — " | 213 |
| —მესამისა | 212½ | — " | — " |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა | — " | — " | — " |
| ქუთაისის ბანკისა | — " | — " | — " |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — " | — " | — " |


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**გორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ **„ნობათი“**-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «დომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—8)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეცხრე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1890—91 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნავთლის ქუჩებზე აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (12—4)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

**დედა ენა და ბუნების კარი**

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**„ისტორიული ნარკვევი“**

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Доз. цен. Тифлисъ, 11-го Сентября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик., д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე